პერიოდი	შეხვედრების საერთო რაოდენობა	შეხვედრების ადგილი ქალაქი (უბანი, ქუჩა), დაბა (უბანი, ქუჩა), სოფელი	ძირითადი იდენტიფიცირებული პრობლემები	რა რეაგირება მოახდინა დეპუტატმა იდენტიფიცირებულ პრობლემებზე	რა შედეგი მოჰყვა დეპუტატის რეაგირებას, მოგვარდა თუ არა პრობლემა
პასუხები წარმოდგენილია დეპუტატის მიერ მოწოდებული სახით					
I კვარტალი 2022	2	1)პირველადი კომუნიკაცია შედგა სოფელ ხურვალეთში, ხოლო შემდგომ, "პარლამენტის სასახლეში". 2)წერილობითი კომუნიკაცია	1)მოქალაქეს ჰქონდა ვადაგასული სესხი, რომელიც საქართველოს ბანკისგან შეიძინა კერძო კომპანიამ და ითხოვდა დიდი პროცენტული დანამატით დაფარვას. მოქალაქეს არ ჰქონდა ფინანსური საშუალება აღნიშნული თანხის დაფარვის (სესხის ჯამური ოდენობა იყო 2000 ლარი, ხოლო კომპანიის მიერ მოთხოვნილი თანხა 17, 000) მოქალაქე არის 2008 წლის ომის ვეტერანი, 4 შვილის მამა და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელში მცხოვრები პირი. მოქალაქესთან კომუნიკაციის შემდგომ, აუცილებლად მივიჩნიეთ მისი საკითხის შესაბამის უწყებებში დაყენება. 2) მოქალაქემ ელექტრონულად მომმართა 2008 წლის ომის დროს რუსეთის სამხედრო ძალების მიერ გორის დაბომბვის დროს, „ისკანდერის" აფეთქების შედეგად, მიღებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე. მისი თქმით, მისი წერილი იუსტიციის სამინისტროში უპასოხოდ დატოვეს.	1)მოქალქე იგორ მაყიშვილის შემთხვევაში მოხდა შუამდგომლობით მიმართვა საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტში და ასევე წერილობითი შუამდგომლობის გაწევა ეროვნულ ბანკთან კერძო კომპანიასთან მედიაციის თხოვნით. 2) მოქალქე ირაკლი ონიაშვილის საკითხის თაობაზე სადეპუტატო წერილით მივმართე იუსტიციის სამინისტროს.	1) შუამდგომლობის შედეგად მოხდა დარიცხული პროცენტის მცირედით კორექტირება და მოქალაქეზე მორგებული პირობებით გადახდის გრაფიკის ფორმირება. 2) იუსტიციის სამინისტროს პასუხის თანახმად, საკითხი კომპენსაციის შესახებ დაყენებულია სტრასბურგის სასამართლოში. პასუხის თანახმად, ევროპული სასამართლო გადავიდა საქმის განხილვის შემდგომ ეტაპზე, რომელიც უკავშირდება „სამართლიანი დაკმაყოფილების" (დაზარალებულთა კომპენსაციის) საკითხს. რუსეთის ქმედებებით დაზარალებული საქართველოს მოსახლეობისათვის გადასაცემი კომპენსაციის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზედამხედველობას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი განახორციელებს. პასუხი გადაეგზავნა მოქალაქეს. KA010159214918922, №5514, 3 მაისი